



საქართველო ყაზბების მუნიციპალიტეტის გამგეობა

№224

10 მარტი 2015 წელი

სსიპ სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარეს
ბატონ ლევან რაჟმაძეს

ბატონო ლევან,

“კონკურსის შესწავლით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო პირობებისა და წესის დამტკიცების შესახებ” სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის N10 ბრძანების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ოფიციალური მოთხოვნის საბით გიგანტითა გაზრდის მუნიციპალიტეტის მიერ დაბა სტეფანწმინდაში აღ.კაზბების გზა N55-ში მდებარე სპორტული პანეის რეკონსტრუქციაზე არქიტექტურული გადაწყვეტის კონცეფციის და ესკიზიური პროექტის გამოვლენის შესახებ საკონკურსო განცხადებას და შესაბამის დოკუმენტაციას, რათა უზრუნველყოთ მისთვის ნომრის მინიჭება და განთავსება ოქცენს ოფიციალურ ვებგვერდზე.

პატივისცემით

გიგა ქირიკაშვილი

მუნიციპალიტეტის გამგებელი

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკონკურსო
კომისიის სხდომის ოქმი

დაბა სტეფანწმინდა

10 მარტი 2015წ.

საკონკურსო კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

1. გივი ქირიკაშვილი - ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გამგებელი, კომისიის თავმჯდომარე
2. მანუჩარ დვალისხელი - გამგებლის პირველი მოადგილე, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე
3. ჯეჩო სუჯაშვილი - გამგების სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და საშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის სამსახურის უფროსი; კომისიის წევრი
4. ზურაბ ზაღალაშვილი - გამგების სოფლის მეურნეობის, ქონების მართვის, ეკონომიკური და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსი; კომისიის წევრი
5. გიორგი კურკუმელი - გამგების საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურის უფროსი; კომისიის წევრი
6. ლელა ფიცხელაური - გამგების სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და საშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის სამსახურის მთავარი სპეციალისტი ურბანისტ-არქიტექტორი; კომისიის წევრი
7. ზურაბ ხუციშვილი - გამგების სოფლის მეურნეობის, ქონების მართვის, ეკონომიკური და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის განყოფილების მთავარი სპეციალისტი, მშენებელ-ინჟინერი; კომისიის წევრი

მოწვევით:

1. მალვა ელიშვილი - ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე;
2. იოანე გელაშვილი - ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცითი დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე
3. ფიქრია გრიგოლაძე - ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

საკონკურსო კომისიის აპარატი:

- ანა ჩქარეული - ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურის შესყიდვებისა და ტექნიკურ-მატერიალური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი;
- ნურუ ქუმაშვილი - ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის იურისდიქციის განყოფილების უფროსი;
- ნინო ხუციშვილი - ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურის შესყიდვებისა და ტექნიკურ-მატერიალური უზრუნველყოფის განყოფილების მთავარი სპეციალისტი შესყიდვების დაგეგმვისა და ადმინისტრირების საკითხში

დ დ ის წეს რ ი გ ი:

კონკურსის მეშვეობით დაბა სტეფანწმინდაში ალ.ყაზბეგის ქუჩა N55-ში მდებარე საპორტული მანქანის რეკონსტრუქციაზე გამარჯვებული არქიტექტურული გადაწყვეტის კონცეფციასა და ესკიზური პროექტის გამოვლენის მიზნით საკონკურსო განცხადებისა და საკონკურსო დოკუმენტაციის განხილვისა და დამტკიცების შესახებ.

(მომხსენებელი: ჯ.სუჯაშვილი)

მოისმინეს: კონკურსის მეშვეობით დაბა სტეფანწმინდაში ალ.ყაზბეგის ქუჩა N55-ში მდებარე საპორტული მანქანის რეკონსტრუქციაზე გამარჯვებული არქიტექტურული გადაწყვეტის კონცეფციისა და ესკიზური პროექტის გამოვლენის მიზნით საკონკურსო განცხადებისა და საკონკურსო დოკუმენტაციის განხილვისა და დამტკიცების შესახებ.

საკონკურსო კომისიის წევრმა, ჯენალ სუჯაშვილმა კომისიის წევრებს გააცნო საკონკურსო განცხადებისა და საკონკურსო დოკუმენტაციის პროექტი.

ა ზ რ ი გ ა მ ი თ ე ე ე: საკონკურსო კომისიის საეკუდომარემ, გივი ქირაკაშვილმა, საკონკურსო კომისიის წევრებმა ზურაბ ზილინაშვილმა და მანუჩარ დვალისხილმა

1. დანტკიცდეს საკონკურსო კომისიის მიერ დაბა სტეფანწმინდაში აღ. ქაზბეგის ქუჩა N55-ში მდებარე საპორტული მანქანის რეკონსტრუქციაზე არქიტექტურული გადაწყვეტის კონსტრუქციის და ესკიზური პროექტის განვლენის მიზნით წარმოდგენილი საკონკურსო განცხადებისა და საკონკურსო დოკუმენტაციის პროექტი, წინადადების მიღების ვადა განისაზღვრება 2015 წლის 21 მარტი, 17 საათი.
2. დავალოს საკონკურსო კომისიის აპარატის წევრს, ანა ჩხარელას უზრუნველყოს საკონკურსო განცხადებისა და თანდართული დოკუმენტაციის წარდგენა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, რომელზეც გამოქვეყნდება სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე.

გ. ჯორჯაშვილი

1. ავტორი /მ. დეგლიშვილი/

 /ჯ.სუჯაშვილი/

 /ზ. ზოლთარაშვილი/

ად /ე.კერეშელი/

20.000

[Signature]
/cm.mayabongmaung/

၇၂၂ (၆) ဂဏတိဗိသုတ/

[Signature]

20/07/2023

3207

14.

ს. ჯორჯიძე

ნ. ჯუშუაძე / ნ. ჯუშუაძე

ბ. ხუციშვილი /მ. ხუციშვილი

საკონკურსო განცხადება

წინამდებარე საკონკურსო განცხადება შედგენილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანების საფუძველზე

დაბა სტეფანწმინდა

2015 წელი

სარჩევი

1. საკონკურსო განცხადება	7
2. ტექნიკური დავალება.....	10
3. ხელშეკრულების პროექტი	12

საკონკურსო განცხადება

1. ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გამგეობა აცხადებს კონკურსს არქიტექტურულ და საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.
 2. კონკურსის მიზანია: ყაზბეგის მუნიციპალიტეტის დაბა სტეფანწმინდაში ალ.ყაზბეგის ქუჩა N55-ში მდებარე სპორტული მანქანის რეკონსტრუქციაზე არქიტექტურული გადაწყვეტის კონცეფციის და ესკიზის გამოვლენა და მშენებლობაზე სრული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა.
 3. **შესყიდვის სავარაუდო ღირებულება შეადგენს 30 000(ოცდაათი ათასი) ლარს დღგ-ს ჩათვლით.**
 4. საკონკურსო წინადადების წარდგენისთვის პირი იხდის საფასურს 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით. საფასური გადაიხდება სააგენტოს ანგარიშზე, რომელიც მითითებულია სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე (<http://procurement.gov.ge>).
 5. საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს:
ა) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და გადახდის თარიღი;
ბ) შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
გ) კონკურსანტის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
დ) საკონკურსო განცხადების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცხადებისთვის მინიჭებული უნიკალური ნომერი.
 6. საკონკურსო წინადადება, რომელიც არ შეიცავს საფასურის გადახდის დამადასტურებელ შესაბამის დოკუმენტს, არ განიხილება. ამასთან, მე-4 ან მე-5 პუნქტის დარღვევით წარდგენილი საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის შემთხვევაში, პირის საკონკურსო წინადადება ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.
 7. წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება მოქმედებს კონკურსში გამარჯვებულ კონკურსანტთან ხელშეკრულების დადებამდე.
 8. საკონკურსო წინადადებით წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე და ხელმოწერილი უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ.
- შენიშვნა:** დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარმოდგენის შემთხვევაში, მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი. აღნიშნულ შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ქართულ თარგმანს.
9. დაინტერესებულმა პირებმა საკონკურსო წინადადება და ესკიზური პროექტი უნდა წარმოადგინონ 2015 წლის 21 მარტის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ყაზბეგის რაიონი, დაბა სტეფანწმინდა ალ. ყაზბეგის ქუჩა #1 გამგეობის შენობა.
 10. საკონკურსო წინადადება თანდართული დოკუმენტაციით წარმოდგენილი უნდა იყოს დალუქული კონვერტით. მონაწილეები არ დაესწრებიან კონკურსის განხილვას.
 11. დაგვიანებით წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება არ განიხილება და დაუბრუნდება კონკურსანტს.
 12. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ეროვნულ ვალუტაში საკონკურსო განცხადებისა და საკონკურსო დოკუმენტაციით გათვალისწინებული მომსახურების სრულად გაწევის შემდეგ, მიღება-ჩაბარების აქტისა და ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე.
 13. საავანსო ანგარიშსწორება არ გამოიყენება.
 14. კონკურსანტმა საკონკურსო წინადადებაში უნდა მიუთითოს და წარმოადგინოს
ა) საკონკურსო წინადადების ფასი (დღგ-ს ჩათვლით), წინადადების ფასი წარმოდგენილი უნდა იყოს მხოლოდ ლარში;
ბ) განმარტებითი ბარათი- გასაწევი მომსახურების სრული ტექნიკური აღწერა, სარეკონსტრუქციო შენობის არქიტექტურული გადაწყვეტის კონცეფცია და ესკიზი;
გ) ინფორმაცია საბოლოო დოკუმენტაციის მიწოდების ვადის შესახებ;

დ) რეკვიზიტები.

15. კონკურსანტს უნდა გააჩნდეს ანალოგიური სამუშაოს შესრულების გამოცდილება და უნდა წარმოადგინოს შესრულებული სამუშაოს ჩამონათვალი შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტით.

16. კონკურსანტს უფლება აქვს წარმოადგინოს მხოლოდ ერთი საკონკურსო წინადადება. ალტერნატიული წინადადება არ განიხილება.

17. საკონკურსო წინადადება, რომლის ფასი აღემატება შესყიდვის სავარაუდო ღირებულების 30 000 (ოცდაათი ათასი) ლარს, საკონკურსოდ არ დაიშვება.

18. საკონკურსო წინადადების შეფასება და გამარჯვებული კონკურსანტის გამოვლენა:

ა) არქიტექტურული კონცეფცია და ესკიზი: კოეფიციენტი – 0,4;

ბ) საკონკურსო წინადადების ფასი: კოეფიციენტი – 0,4;

გ) გამოცდილება მსგავს სამუშაოზე - 0,2;

დ) შეფასება განხორციელდება -10 ქულიანი სისტემით.

ე) კონკურსანტი გამარჯვებულად ჩაითვლება, თუ მას საკონკურსო კომისიის წევრთა მიერ მიენიჭება ყველაზე მაღალი ჯამური ქულა. ქულათა თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მიერ მინიჭებული ქულა.

19. გამარჯვებულმა კონკურსანტმა უნდა უზრუნველყოს ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღეში შესაბამისი კლასის შენობისათვის საჭიროსრული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის წარმოდგენა.

20. სამშენებლო დოკუმენტის პროექტი უნდა შეიცავდეს საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ #57 დადგენილებით განსაზღვრული შენობის შესაბამისი კლასისათვის გათვალისწინებული სამშენებლო დოკუმენტის პროექტს (გათვალისწინებული უნდა იქნას ელექტრობა, ვენტილაცია, გათბობა და სხვა).

პროექტირებისას გათვალისწინებული იქნას მიწის ნაკვეთის გარშემო ტერიტორიის არსებული განაშენიანების ინტენსივობა და ადგილობრივი კლიმატური პირობები.

21. საკონკურსო წინადადების ფასში სრულად უნდა იყოს გათვალისწინებული საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი და კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადები. საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია მომზადებული უნდა იყოს საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებით და სტანდარტებით.

22. იმ შემთხვევაში თუ სამუშაოს შესრულების პროცესში აღმოჩნდება საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით გათვალისწინებული დამატებითი სამუშაოების შესრულების აუცილებლობა, ამ დამატებითი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა განხორციელდება ანაზღაურების გარეშე.

23. საჭიროების შემთხვევაში შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეიტანოს ცვლილებები ესკიზში.

24. გამარჯვებულმა კონკურსანტმა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენისას უნდა გაითვალისწინოს შემსყიდველის მითითებები.

25. წარმოდგენილ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციას თან უნდა ერთვოდეს ფაილის ელექტრონული ვერსია (8მგბ).

26. საკონკურსო კომისიას უფლება აქვს ხელშეკრულების დადებამდე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს შესყიდვის პროცედურა, თუ ეს აუცილებელი გახდება მისგან დამოუკიდებელი და წინასწარ გათვალისწინებული ობიექტური მიზეზებით, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებული არ არის, კონკურსანტს აუნაზღაუროს შესყიდვაში მონაწილეობასთან დაკავშირებული ხარჯები.

27. კონკურსში გამარჯვებულმა უნდა წარმოადგინოს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაზე ლევან

სამხარაულის სახელობის სახელმწიფო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული დასკვნა, რომლის ღირებულებაც ანაზღაურებული იქნება გამარჯვებულის მიერ.

28. ესკიზური პროექტი უნდა შეიცავდეს „ტექნიკური დავალებით“ მოთხოვნილ მონაცემებს.

ტექნიკური დავალება

შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს ყაზბეგის მუნიციპალიტეტის დაბა სტეფანწმინდაში ალ.ყაზბეგის ქუჩა №55-ში მდებარე სპორტული მანეჟის რეკონსტრუქციაზე არქიტექტურული გადაწყვეტის კონცეფციის და ესკიზის გამოვლენა და შემდგომში გამარჯვებული კონკურსანტის მიერ არსებული სპორტული მანეჟის ნაწილობრივ (გარდა ძირითადი მზიდი კონსტრუქციებისა) დემონტაჟზე და მის რეკონსტრუქციაზე სრული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება.

აღნიშნული ობიექტის სახარჯთაღრიცხვო ღირებულებაა 1000000 (ერთი მილიონი) ლარი.

სპორტული კომპლექსის მშენებლობა უნდა განხორციელდეს დ. სტეფანწმინდაში ალ.ყაზბეგის ქუჩა №55-ში (არსებული სპორტული მანეჟის ადგილზე) სტადიონის მიმდებარე ტერიტორიაზე (სიტუაციური გეგმა დანართი1).

სამშენებლო მიწის ნაკვეთს დასავლეთის მხარეს ესაზღვრება კერძო მიწის ნაკვეთი, შენობის განვითარება შესაძლებელია ჩრდილოეთის და აღმოსავლეთის მხარეს, ასევე სამხრეთით, არსებული მანეჟიდან ≈10 მ-ის საზღვრებში.

1. წარმოდგენილ ესკიზურ პროექტში გათვალისწინებული უნდა იყოს: ვესტიბიული, ძირითადი მრავალფუნქციური სპორტული დარბაზი კალათბურთისთვის, ფრენბურთისთვის, მინიფეხბურთისთვის, ხელბურთისთვის, ჭიდაობისთვის.

- ✓ ტრიბუნები- გათვალისწინებული მაყურებელთა მაქსიმალურ რაოდენობაზე.
- ✓ კლდეზე ცოცვის კედელი. სიმაღლე მინიმუმ-15 მ.
- ✓ გასახდელები.
- ✓ საშხაპეები.
- ✓ ოთახები ადმინისტრაციის პერსონალისთვის.
- ✓ ოთახები მსაჯებისა და მწვრთნელებისთვის და შენობის ფუნქციონირებისთვის სხვა აუცილებელი დამხმარე სათავსოები.

2. შენობის პროექტირებისას აუცილებელია გათვალისწინებული იქნას ყველა ის მოთხოვნა, რომელიც საჭიროა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ხელმისაწვდომი გარემოს შესაქმნელად (შენობის შესასვლელში პანდუსების მოწყობა, შედარებით განიერი გასასვლელები, დერეფნები და ა.შ.) მოქმედი სტანდარტების გათვალისწინებით.

3. ესკიზური პროექტი უნდა მოიცავდეს:

- განმარტებითი ბარათი (შენობის ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები, პროექტის იდეები)
- სიტუაციური გეგმა მასშტაბით: 1:2000;
- გენერალური გეგმა მასშტაბით: 1:500;
- გეგმები მასშტაბით: 1:100;
- მახასიათებელი ჭრილები მასშტაბით: 1:100;
- ყველა ფასადი მასშტაბით: 1:100; (შესრულებული ფერში, გამოსაყენებელი მასალის მითითებით)
- ფოტომონტაჟი;
- რენდერები მინიმუმ 3ც.
- CD დისკზე ჩაწერილი ელ.ვერსია.

შესრულების მანერა თავისუფალია.

4. მასალების წარმოდგენის ფორმა:

საკონკურსო პროექტი უნდა განთავსდეს A1 ზომის ფორმატზე, ფორმატი დაკრული უნდა იყოს მსუბუქი მასალისგან დამზადებულ პლანშეტებზე. განსახილველ მასალას უნდა ახლდეს CD დისკზე ჩაწერილი ელ.ვერსია.

წარმოდგენილ პლანშეტებს, განმარტებით ბარათს და CD-ს მარჯვენა ზედა კუთხეში უნდა მიეწეროს 1 სმ. სიდიდის არათანმიმდევრული ექვსნიშნა რიცხვი. იგივე რიცხვი უნდა ეწეროს დახურულ კონვერტზე, რომელშიც მოთავსდება მონაწილეთა მონაცემები.

საკონკურსო პირობებთან და შესყიდვის ობიექტთან დაკავშირებული განმარტების მიღება კონკურსანტს შეუძლია შემდეგ მისამართზე ყაზბეგის მუნიციპალიტეტის დ. სტეფანწმინდა ალ.ყაზბეგის ქუჩა №2.

საკონტაქტო პირი:

სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის სამსახურის უფროსი
ჯემალ სუჯაშვილი. ტელ. 591 27 63 33

ხელშეკრულების პროექტი

ერთის მხრივ ყაზბეგის მუნიციპალიტეტი (შემდგომში შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი გამგებლის გივი ქირიკაშვილის სახით და მეორეს მხრივ, _____ (შემდგომში მიმწოდებელი) წარმოდგენილი _____ სახით, კონკურსის საშუალებით დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში – ხელშეკრულება) შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ყაზბეგის მუნიციპალიტეტის დაბა სტეფანწმინდაში ალ.ყაზბეგის №55-ში მდებარე სპორტული მანეჟის რეკონსტრუქციაზე სრული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა.

2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

2.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს _____ ლარს.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

- 3.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.
- 3.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტისა, ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული ექსპერტიზის დასკვნისა და ანგარიშ - ფაქტურის საფუძველზე.
- 3.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში.

4. მიღება-ჩაბარების წესი

- 4.1 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს -----
- 4.2 მომსახურება ჩაითვლება გაწეულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5. მომსახურების გაწევის ადგილი და ვადა

- 5.1 მომსახურების მიწოდების ადგილია დ. სტეფანწმინდა, ყაზბეგის ქ. N 1
- 5.2 მომსახურების გაწევის საბოლოო ვადაა 2015 წლის _____

6. მხარეთა უფლება-მოვალეობები

- 6.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.
- 6.2 შემსყიდველი ვალდებულია უზერუნველყოს მიმწოდებელი მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.
- 6.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.
- 6.4 მიმწოდებელი ვალდებულია გასწიოს მომსახურება სათანადო ხარისხით.

7. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლი

- 7.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს ახორციელებს _____
- 7.2 კონტროლი გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე გაწეული ან გასაწევი მომსახურების ხარისხის კონტროლს.

8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გაშვების შემთხვევაში, მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

8.2 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისგან.

9. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

9.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

9.4 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

9.5 მხარე ვალდებულია 9.4 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

9.6 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

10.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის 2015 წლის _____ და მოქმედებს 2015 წლის _____ ჩათვლით.

შემსყიდველი

მიმწოდებელი

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გამგეობა

ყაზბეგი. დ.სტეფანწმინდა, ალ.ყაზბეგის 1

ს/კ 241499473,




არსებული სპორტული მანქანა

Created with

n nitroPDF[®]professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

საბუბოთა სტრუქტურა

ბუფერული ზონა



ბუფერული ზონა:

- ბუფერული ზონის სიგანე - 6,5

- ბუფერული ზონის სიღრმე - 8,80